პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ორშაბათი, 23 თებერვალი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 42 (730) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ. | მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## წითელი არმიის მეშვიდე წლის თავი.

წითელი არმიის აღმშენებ-ბა სწარმოებდა სამოქალა-ომის ცეცხლში, ნაჩქარე-მუშა და გლეხი არა ჩვე-ებრივ მძიმე პირობებში ქმნიდა თავისი არმიის აღ-ნებლობას.

1921 წლიდან არმია გადა-მშვიდობიან მდგომარეო და 1924 წლამდი მრავა მიზეზების გამო არ შეეძ ერთბაშად მოენახა სწო გზა თავის აღმშენებლო.

დღეს კი მეშვიდე წლი ზე ჩვენ დამშვიდებით შე ლია აღვნიშნოთ, რომ მთე არმიის ძირითადმა გადა-სებამ (რეორგანიზაცია) პირად შემადგენლობის გა-ინჯვამ გამოიყვანეს ბოლოს ნი არმია ფართო გზაზე.

წითელი არმიის გლეხობას-დაახლოება ტერსისტემის მოლებით ძირითად ამოცა-რჩება მიმდინარე წელ-.

### ძირითადი მიღწევები 1924 წელში.

არმიის ნივთიერი მდგომარე-ის გაუმჯობესება შესაძლე-გახდა სასოფლო მეურ-ბის, მრეწველობის გაძლი-ებისა და ფულის სისტემის ანსალების შემდეგ; არმიის ვარზე მეტის ტერსისტემა-გადასვლამ ხელი შეუწყო თად ნაწილების ნივთიერ ოლდღეობას—პირველ რი-ყაზარმაში თავისუფლად ვსების მხრივ.

ნივთიერის მხრივ არა ნაკ-მნიშვნელობა აქვს სამ-ურის გავლის მტკიცე წე-.

მქრა ის ცვალებადობა, ოცეულის, ჯუნდის და კის პირადი შემადგენლო-ნიადაგ იცვლებოდა; ასეთი ის ჩაცმა ძნელი იყო; ტა-მელის მარაგი ლეგიონებ-არ მოიპოვებოდა.

დღეს არმია ჩაცმულია სრუ-დ—100 პროც.-თ. ფუ-კმაყოფაც დამაკმაყოფი-ლად არის მოგვარებული, ვინაიდაც ამის ნებას გვაძ სილარიბე.

მრავალში, ჩვენი მეურნე საერთო კეთილდღეობის ჯობესებასთან ერთად, სა-ო ზრუნვა მისი შემდეგი ჯობესებისათვის.

სამსახურის გავლის წესი მოადგენს არმიის ბრძოლის რიანობის საფუძველს.

მტკიცე ვადის უქონლობა და გაურკვევლობა გაწვე-ვაში (ვინ და როდის უნდა გაწვეულიყო და რომელ სამხედრო ნაწილში),—ყველა-ფერი ეს ჰქმნიდა არევ-დარე-ვას არმიის მომზადებაში.

დღეს გაწვევის ჰასაკად და-წესებულია 21 წელი 21 ივ-ლისისათვის და ახალგაზრდო-ბას იწვევენ ორ ვადაში—გა-ზაფხულზე და შემოდგომაზე.

დაწესებულია სამსახურის ვადა: ცხენოსანში, არტილერი-აში და ქვეითა ჯარში—2 წე-ლი, საჰაერო ფლოტის სპე-ციალურ ნაწილებში—3 წელი და 4 წელი საზღვაო ფლოტ-ში—იმის და მიხედვით, თუ როგორ მომზადების მოთხოვ-ნილებები იქნება ამ ორივე ფლოტის მიმართ.

რასაკვირველია ეს სამსახუ-რის ვადა არ არის დაწესებუ-ლი ერთხელ და სამუდამოდ. მუშურ-გლეხური მთავრობის მთელი ღონისძიება პირველ რიგში მიმართულია სასოფლო მეურნეობის გაძლიერებისაკენ და სამსახურის ასეთი ვადა უნ-და ჩაითვალოს დიდ ვადად.

ტერსისტემა უკვე აძლევს საშუალებას ტერარმიელს სამ-სახურის ასრულებასთან ერთად შეასრულოს სასარგებლო მო-ქალაქის მოვალეობა მეურნეო-ბის გაძლიერების საქმეში და არ ჩამოშორდეს უკანასკნელს.

მაგრამ ძირითადი საველე ნაწილებისათვის რომ ერთ—წლიანი სამსახურის ვადა იქნას შემოღებული, ამისათვის საჭი-როა გამოწვეულები წერა-კით-ხვის მცოდნეები იყვნენ; სხვა-ფერ მათ არ შეუძლიათ ასე მოკლე ვადაში შეისწავლონ ამდენად რთული საქმე.

წითელ არმიელებს მოეთხო-ვება, რომ იმათ შეგნებულად გაიტანონ წითელი არმიიდან ყველაფერი, რის მიცემაც კი შეუძლია მას სამხედრო და პოლიტიკურ დარგში, ვინაი-დან გლეხთა ახალგაზრდობის საკმაოდ განუვითარებლობის პირობებში წითელი არმია მისი საუკეთესო სკოლაა ყოველ მხრივ.

### არმიის ტერიტორიალური აღ-მშენებლობა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ რომ არმიის დიდი ნაწილი გადაყვა-ნილია ტერიტორიალურ სის-ტემაზე, სადაც ერთ და იმავე დროს უზრუნველყოფილია სა-მხედრო სწავლებაც და მშვი-დობიანი შრომაც ოჯახურ გა-რემოებაში. ამის გაკეთება შე-გვეძლო მხოლოდ ჩვენ, ვინა-იდან საბჭოთა ხელისუფლება-მშრომელთა ხელისუფლებაა.

სულ სხვაა კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მემამულეე-ბის, ბანკირების და ფაბრიკან-ტების მთავრობას ეშინია თა-ვისივე არმიის, სადაც მუშები და გლეხები მონები არიან თავიანთი ბატონების და იძუ-ლებული არიან ძალდატანებით იმსახურონ არმიაში. იქ შვილებს აშორებენ თავიანთ მშობლებსა და ოჯახებს, რათა ყოველ წუ-თს მზად ჰყავდენ თავიანთივე ძმების დასახვრეტად.

ტერიტორიალური აღმშენე-ბლობის ორი წლის გამოცდი-ლებამ დაგვანახვა მთელი მი-სი სასიცოცხლო სახე და ის მხურვალე თანაგრძნობით სარ-გებლობს მოსახლეობაში. ამ ჟამად უკვე მოსჩანს ტერსის-ტემის შედეგები სოფლად. შე-კრების დროს გლეხი უახლო-ვდება მუშას; ცვალებად-შემა-დგენელი-მუდმივი მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მე-ოხებით, ღებულობს მისთვის საინტერესო ცნობებს და მიაქვს ეს ცნობები სოფლად. ცვა-ლებად-შემადგენელნი ხდებიან მოწინავე და შეგნებული პირ-ები სოფლად.

როგორც დიდი მიღწევა აღ-ნიშნულ უნდა იქნას ტერიტო-რიალურ რაიონების გადასინ-ჯვა და მათი საზღვრების სწო-რი დაწესება, ე. ი, რომელმა მაზრამ, გუბერნიამ და სხვამ უნდა შეადგინოს ტერნაწილი. დღეს ყველა მოქალაქემ იცის გაწვევამდე, თუ სად იქნება ის გაწვეული-ტერიტორიალურ თუ საველე ჯარში და რომელ ნა-წილში.

ეს იძლევა შესაძლებლობას შეგნებულად და ადრიანად მო-ემზადონ სამსახურისათვის და ამით შეიმსუბუქონ სწავლების საქმე და უზრუნველყონ წი-თელ შეიარაღებულ ძალთა შე-გნება.



საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ფრუნზე.

### წითელი არმია და საბჭოთა საზოგადოებრივობა სოფლად

მაგრამ, რასაკვირველია, მო-კლევადიანი სწავლებით, გან-საკუთრებით ტერნაწილებში თუნდ მუშებისა და გლეხების მონდომებითა და შეგნებით, წითელი არმია ვერ შეასრულ-ებს თავის ამოცანებს სწავლა-აღზრდის საქმეში, თუ მას არ დაეხმარება სამოქალაქო-პარტი-ული, კომკავშირული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგა-ნიზაციები.

ეს დახმარება უნდა სწარმო-ებდეს მოსახლეობის სამხედ-რო-პოლიტიკური აღზრდის სა-ხით დაწყებული სკოლიდან და ნამდვილი სამსახურიდან არმი-აში, განსაკუთრებით ტერნა-წილებში შეკრების პერიო-დებს შორის.

ვინაიდან ჩვენი არმია უმე-ტესად გლეხობისაგან შესდგე-ბა, ამიტომ მთელი სოფლის საბჭოთა საზოგადოებრივობა ჩაბმულ უნდა იქნას ამ მუშა-ობაში. სოფლის უჯრედებმა კომკავშირმა, ქოხ-სამკით-ხველოს მომუშავემ, მასწავლე-ბლობამ, მოწინავე ცვალებად შემადგენელმა, დემობილიზა-ციით წასულ წითელ-არმიელ-მა-ყველა მათ უნდა გააერთია-ნონ თავიანთი ღონისძიებანი ამ მუშაობაში. ქოხ-სამკითხ-ველო—ეს არის კლუბი, რომელმაც შეკავშირებულად უნდა დაეხმაროს ამ გაერთია-ნებას.

თუ რომ წითელი არმია ძი-

## წითელი არმიის მეშვიდე წლის თავი.

### საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანება.

ამხანაგებო წითელ-არმიელებო, კომანდირებო და პო-ლიტ-მომუშავენო!

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო გილოცავს თქვენ მუშურ-გლეხური არმიის მეშვიდე წლის თავს.

დღეს, როგორც 7 წლის უკან, მტკიცედ და შეუდრეკ-ლად სდგას წითელი არმია თავის საპასუხისმგებლო საბრძო-ლო სადარაჯოზე.

დიადი ძლევა მოსილი ძალით გაიარა წითელმა არმიამ სამოქალაქო ომის ხანა და დაუზოგავად აღმოფხვრა „თეთრ-კულაკური" ბანდიტიზმი.

შეურყევლად, დაჟინებით და წარმატებით აუმჯობესებს ის უკანასკნელ წლებში საბრძოლო წესებს, ორგანიზაციას, ტეხნიკასა და სამხედრო სწავლებას.

მუშურ-გლეხური ლეგიონების სამხედრო დროშები არა მარტო ატარებენ ხსოვნას წარსულ ბრძოლებზე და გამარჯ-ვებებზე, არამედ აკისრებენ ყოველ კომანდირს, კომისარს და წითელ არმიელს დიდ მოვალეობას.

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მუ-შურ-გლეხური მთავრობა მოითხოვს ყველა ჩვენგან და თვი-თეული სამხედრო მოსამსახურისაგან მასზე დაკისრებულ მო-ვალეობის უმწიკვლოდ შესრულებას; განსაკუთრებით დღეს, როცა ძლიერდება იმპერიალისტების მადა ერთად-ერთ მუ-შურ-გლეხურ სახელმწიფოს მიმართ მთელ ქვეყანაზე, როცა მრავალი ცნობა ვერ ანელებს მწვავე სიძულვილს ჩვენდამი, რომლითაც გაჟღენთილია კაპიტალისტები, მათი მონები და ლაქიები.

გასულ 1924 წლის განმავლობაში გაუმჯობესებულ იქ-ნა წითელი არმიის ორგანიზაცია, მოგვარებულ იქნა მისი მომარაგების საქმე სხვა და სხვა სახის კმაყოფით და გაუ-მჯობესებულ იქნა მეთაურთა შემადგენლობის ნივთიერი მდ-გომარეობა. მაგრამ ეს მხოლოდ მუშაობის ახალი ზოლის დასაწყისია საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა აღმშე-ნებლობაში.

მეშვიდე წლის თავზე წითელმა არმიამ უნდა იცოდეს და ახსოვდეს, რომ თუ არ სწარმოებს განუწყვეტლივი გაუმ-ჯობესება სამხედრო სწავლებაში და მომზადებაში, შეიარა-ღების ტეხნიკაში, თუ არ არის მტკიცე დისციპლინა, მაშინ არ შეიძლება ძლიერი იყოს საბჭოთა სახელმწიფოს შეიარა-ღებული ძალა.

სამხედრო საქმე თავისი წარმატებისათვის მოითხოვს დღეს არა მარტო წითელი არმიის, არამედ სამოქალაქო ზუ-რგის მთელი ძალების დაჭიმვას.

ჩვენი შეიარაღებული ძალების საფუძველს ამ ჟამად წა-რმოადგენს ტერიტორიალური სისტემა. ტერიტორიალური დივიზია უნდა იყოს ისეთივე ბრძოლის უნარიანი, როგორც ძირითადი დივიზია. ამ ამოცანის შესრულებას საბჭოთა კავში-რის რევსამხსაბჭო და წითელი არმია შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ მას ძმურ დახმარებას გაუწევენ ჩვენი სახელმწიფოს ყველა ორგანოები, მთელი კომუნისტური პარ-ტიის ძლიერება, მთელ მრავალ მილიონიანი მუშურ გლეხური მასები.

მეშვიდე წლისათვის დღეს ყოველ მუშასა და გლეხს, ყოველ კომუნისტს და კომკავშირელს და აგრეთვე ჩვენს საბჭოთა მომუშავეების მრავალრიცხოვან რაზმეს აშკარად უნდა ესმოდეთ თავიანთი მოვალეობა საბჭოთა ქვეყნის თავ-დაცვის უნარიანობის განმტკიცების დიადი ამოცანების წი-ნაშე.

ჩვენი სახელმწიფო მაგრდება, ვინაიდან ის ეყრდნობა მუშებისა და გლეხების ძლიერ კავშირს, ვინაიდან მისი დრო-შა წარმოადგენს ლენინის დიად ანდერძებს. ამ ფოლადისე-ბურ საფუძველზე კიდევ უფრო განმტკიცდება და გაძლიერ-დება ჩვენი ძლევა-მოსილი მუშურ-გლეხური წითელი არმია.

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს წითელ ფლოტს!

**საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ფრუნზე**

რითადი საბჭოთა სკოლააგლეხისთვის ყოველმხრივ—პოლიტიკურ, სამხედრო, საბჭოთა აღმშენებლობის დარგში და საზოგადოდ რევოლიუციონურ საბჭოთა აღზრდის საქმეში,-მაშინ თვით სოფელი უნდა წარმოადგენდეს მოსამზადებელ საფეხურს წითელი არმიისათვის,—სამოქალაქო სკოლის, მწვევამდელთა და სხვა და სხვა თვითმოქმედ ორგანიზაციების საშვალებით.

პიონერების რაზმებმა, განსაკუთრებით კომკავშირმა, სასპორტო და ფიზკულტურის წრეებმა, სამხედრო კუთხემ, სამხედრო ცოდნათა წრემ, საბჭოთა საზოგადოებრივობის ლონისძიებით და სამხედრო პოლიტორგანოების საერთო ხელმძღვანელობით თანდათანობით უნდა მოამზადონ მომავალი საბჭოთა მეომარი, მოქალაქე—რევოლიუციონერი; და მაშინ წითელი არმიისათვის არ იქნება ძნელი დაამთავროს ჩვენი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის აღზრდა.

ამოცანა-მეტად დიდი და ძნელია სოფლისთვის, მაგრამ-არ არის იმ ბრძოლაზე ძნელი, რომელიც უკვე გადაიხადა საბჭოთა კავშირმა როგორც სამოქალაქო ბრძოლის ველებზე, ისე სამეურნეო ფრონტზე. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საბჭოთა მეურნეობის სიმტკიცე სავსებით დამოკიდებულია წითელი არმიელის აღზრდის წარმატებაზე, რომელიც არმიიდან დაბრუნებისას სავსებით გაამართლებს მის აღზრდაზე დანახარჯს.

მ. ფრუნზე.



წითელი არმიის შტაბის უფროსი ამხ. კამენევი.



საბჭოთა კავშირის წითელი [კა]ვალერიის სარდალი ამხ. ბუდიონი.

## ვინ შექმნა წითელი არმია?

წითელი გვარდიის ისტორია, რომელიც ჯერ არ დაწერილა,



საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ამხ. უნშლიხტი.

გვიჩვენებს თუ რა მნიშვნელობა ჰქონია მის ორგანიზაციაში მუშათა მასების რევოლიუციონურ ინიციატივას. არა ამაზე ნაკლები მნიშვნელობა ქონდა მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა რევოლიუციონურ ინციატივას მრავალრიცხოვან პარტიზანულ რაზმების შედგენის დროს.

ცხადია, ასეთ მასიურ რევოლიუციონურ დასაწყისში საქმის ნაყოფიერად დასრულება იოლი შეიქმნა მით უფრო, რომ მასებს აქვე ხელთ ქონდათ იარაღი და გამოცთილება, რომელიც თან გამოიტანეს ომიდან. ამ გარემოებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა უკვე თებერვლის რევოლიუციაშიაც: რამდენიმე დღეების განმავლობაში ლენინგრადის და მოსკოვის მუშებმა და ჯარის კაცებმა გამოყვეს თავიანთ წრიდან დაუკითხავად, მთელი რიგი პატარა რაზმებისა, რომლებიც კონტრ-ევოლიუციასთან და კონტრ-რევოლიუციონერებთან დამოუკიდებლად აწარმოებენ ბრძოლას. აქ მათ მიერ გიგანტიური ინციატივა იქმნა გამოჩენილი.

ასევე განმეორდა ოქტომბრის გადატრიალების დროს, მაგრამ აქ ეს სწარმოებდა უფრო ჩამოყალიბებულად და წესიერად რ. კ. პ. ლენინგრადის და მოსკოვის ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

წითელ-გვარდიელთა და პარტიზანულ რაზმთა სწორედ ეს თვითმოქმედება ანცვიფრებდა ყველაზე უფრო მეფის არმიის ძველ ოფიცრებს. წითელ-გვარდიელთა გარეგან უდისციპლინობის, ცუდ ორგანიზაციის და დაბალ ხარისხის შესწავლის ქვეშ, მათმა გამოცდილმა სამხედრო თვალმა დაინახა უმთავრესი: განუზომელი გადაწყვეტილება დაუნდობელ ბრძოლისათვის, გაბედულობა, შეუდრეკლობა, განუწყვეტლივი და შეუჩერებლივი ძიება „მტერი“სა (ინიციატივის მთავარი წყარო).

მაგრამ ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანში, გლეხთა და მასებს მუშათა არ შეეძლოთ წასულიყვენ პარტიზანულ რაზმების პირდაპირ შექმნის წინ, რომლებსაც, მიუხედავად ყველა კარგ ღირსებების, (რაც ვერ იქნა სათანადოთ შეფასებული) ბევრი დიდი ნაკლი ქონდა. პარტიზანულ რაზმების წინ წაწევა. მათი ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, სამხედრო სწავლის გაძლიერება, მომარაგების გეგმიანად დაყენება,-ასეთ ამოცანის დასახვა შეეძლო მხოლოდ მუშათა კლასის მოწინავე ნაწილს რუსეთის კომუნისტურ პარტიას. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ პარტიზანულ რაზმების ნაკლულევნებიან გადამწყვეტი ბრძოლით.

პარტიამ წითელ-გვარდიელთა და პარტიზანულ რაზმების შეკრება და სწორედ აგებულ არმიის შექმნა შესძლო მაშინ, როდესაც ის თვითონ გამაგრდა ე. ი. 1918 წლის მეორე ნახევარში. მაგრამ ასი ათასი პარტიის რიგის წევრების, საბჭოთა არმიის მომუშავეების, აგრეთვე თვით წითელ-არმიელთა გარეშე, ის ვერასოდეს ვერ შესძლებდა ამ ამოცანას. პარტიული ცენტრები არკვევდენ სამხედრო პოლიტიკას, მობილიზაცია უყვეს პარტიის რიგებიდან ათი ათასებს ორგანიზატორებს და აძლევდენ მასსებს ლოზუნგებს. მასსები კი ეტანებოდენ ლოზუნგებს და ანხორციელებდენ მას ცხოვრებაში.



წითელ არმიის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი ამხ. ბუბნოვი.

საკმარისია გავიხსენოთ ლოზუნგები: „პროლეტარო, ცხენზე“ და ისიც, თუ როგორ იქნა ის ცხოვრებაში გატარებული, რომ ამ მაგალითზე ნათლად წარმოიდგინოთ წითელი არმიის მშენებლობის მთელი მექანიკა.

განსაკუთრებით კავალერია (იარაღის სახე, რომლის ორგანიზაცია ყველაზე უფრო ძნელია) იქნა დაარსებული მუშების და გლეხების მასების მიერ მისი მეთაურთა შემადგენლობა კი გამოყოფილ იქნა საგრძნობ უმეტესობით პარტიზანებიდან. პარტიამ შესძლო ცხენოსანი მასები ჩამოეყალიბებია ერთ მთლიან ორგანიზაციათ, შეესწავლებია და მიეცა მათვის საჭირო სახე და რამდენიმეთ დაეძლია მისი პარტიზანული ნაკლი.

პარტიზანული „სულისკვეთება“ ე. ი. პარტიზანული ღირსება (ინიციატივა, მოქნილობა, ჩქარი მოძრაობა [...] პარტიზანული ნაკლი ნაკ[...] დისციპლინა) მკიდროდ [...] ვშირებულია ერთი—მეო[...] და ისიც უფრო შენახულია [...] თელ კავალერიაში.

წითელი არმიის მეშ[...] წლის თავზე საჭიროა გავ[...] ნოთ მის ამშენებლობაში [...] როლი, რომელიც ეკუთ[...] რევოლიუციონურ მასებს.

ვისურვოთ წითელ—არ[...] მეშ-წლის თავისთვის დაწ[...] ლიყოს ისტორია, თუ რო[...] შექმნეს, რევოლიუციონურ[...] შათა და გლეხთა მასებმა [...] ვისი შეიარაღებული ძა[...] რუსეთის კომუნისტურ პარ[...] ხელმძღვანელობით.

ს. გუსევ[...]

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ის უდიდესი გამოცდილება, რომელიც შეიძინა წითელმა არმიამ და მისმა ხელმძღვანელებმა, ომის განმავლობაში, დიდათ შეგვიწყობს ხელს მის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, და ჩვენ კიდევაც შევსძლებთ არმიის შემცირების დროს მისი ძირითადი ფუძის შენარჩუნებას, რაც მისი შენახვის მხრივ არ დააწვება მძიმე ტვირთად რესპუბლიკას. და იმავე დროს კი არმიის რიცხობრივად შემცირების დროს, ჩვენ უკეთ, ვიდრე წინეთ, უზრუნველვყოფთ მისი ფეხზე დაყენებას და სამხედრო ძალთა მობილიზაციის შესაძლებლობას.

ლენინი,

## პირველი ცხენოსანი არმიის შვიდი წლის თა[ვი]

23 თებერვალს სრულდება 7 წელიწადი, რაც რუსეთის რევოლიუციონურმა მშრომელმა ხალხმა გამოსჭედა სამოქალაქო ომის პროცესში სახელოვანი 1 ცხენოსანი არმია. შვიდი წლის წინეთ ის შესდგებოდა სულ 60 მხედრისგან. აუტანელ პირობებში უწევდა მას მუშაობა. არ ქონდა საშვალება, რომ ცოტათი მაინც მოეწესრიგებია თავის შემადგენლობა და მოეგვარებია ორგანიზაციის საკითხი. ყოვ[...] ვე ეს—მისი შევსება და [...] რთვნა ხდებოდა ბრძოლის [...] ლზედ. წითელ არმიაში ს[...] თოთ მაშინდელ ხანაში [...] დანაკლისი იყო-ცხენოსანი [...] რის სიმცირე, პირიქით მოწ[...] ალმდეგეებს—თეთრებს ბ[...] მათ ყავდათ ცხენოსნები,

მათე კავათ ხელში დონი,[...] ანი და თერგი-ეს უმდიდრესი [...] რეები სამხრეთ რუსეთისა, ს[...] თამრავი რიცხვი ცხენებისა [...]

## მუშებისა და გლეხების კავშირი ჩვენი გამარჯვების თავდებია.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშამ და გლეხმა თავისი მძლავრი ხელით ძირს დასცა კაპიტალისტური მთავრობა, რომელიც ამავე წლის თებერვალში წამოსკუპდა ყოფილ ჯალათ მეფის ადგილზე.

გლეხს უნდოდა მიწა, რომელზედაც ის მუშაობს, ხოლო მუშას კი -ფაბრიკა ქარხნები.

მაგრამ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა მხოლოდ დაპირებებით ჰკვებავდა ხალხს და ყოველგვარ საშვალებებსა და ხრიკეს მიმართავდა, რომ მიწა და ფაბრიკა ქარხნები მუშებისა და გლეხებისთვის არ გადაეცა.

ოქტომბრის რევოლიუციამ ყველაფერი ეს მუშებისა და გლეხების განკარგულებაში გადასცა.

მემამულეები და ფაბრიკა ქარხნების მეპატრონეები გამოესალმენ თავის ქონებას, მაგრამ ამ ფაქტს არ ურიგდებოდენ ისინი; მათი სურვილი იყო, რომ რუსის გლეხს ძველებურად მოედრიკა წელი მათ წინაშე და დაიწყეს ორგანიზაციულად შემოკრება მზადება.

უცხოეთის ბურჟუაზია დაფრთხა. მას შეეშინა თავისი ქვეყნის მუშებისა და გლეხების, რომლებსაც შეეძლოთ ისე გასწორებოდენ თავის მტარვალებს, როგორც რუსეთის მუშები და გლეხები გაუსწორდენ აქაურ მემამულეებს და კაპიტალისტებს. უცხოეთის ბურჟუაზიამ დახმარების ხელი გაუწოდა რუს თეთრ გვარდიელებს.

ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმაგრებელ საბჭოთა რესპუბლიკას ყოველი მხრიდან შემოესიენ კაპიტალისტები.

ჩვენ მოგვაქციეს კაპიტალისტებმა თავისი ხიშტების რგოლში, გვემუქრებოდენ ჩვენი რევოლიუციის განადგურებით და დაუმორჩილებელ გლეხებისაგან ოქტომბრის მონაპოვართა ჩამორთმევით, ე. ი. ჩვენი ძმები მუშები და გლეხები მრავალი წლობით ისევ გაებათ მონობის საშინელი უღლის ქვეშ.

მაგრამ მუშებისა და გლეხების კავშირი ეხლა უფრო ძლიერი გამოდგა მათზე, უფრო ძლიერი ვინემ მისი გმირული ბრძოლების შემდეგ წლებში. მან შეაგროვა ყველა თავისი მცირე—მეფით გამოწვეული უჩვეულო ომში გადარჩენილი საშვალებანი და შექმნა ძლიერი წითელი არმია, პირველი მუშათა და გლეხთა არმია მთელ მსოფლიოში.

თავისივე წრიდან მშრომელებმა მოგვცეს წითელი არმიის ხელმძღვანელი საუკეთესო მეთაურები.

მტრები გვიტევდენ ყოველი მხრიდან. ჩვენს ჯერ კიდევ გაუწვრთნელ არმიას, მტრების წინააღმდეგ უსაშინელესი ბრძოლის დროს და მრავალი მსხვერპლის გაღებით მოუხდა შეესწავლა, თუ როგორ უნდა მოეგერებია გარს შემორტყმული მტრები. ჭეშმარიტად მხოლოდ პროლეტარიატმა შესძლო გამკლავებოდა მოზღვავებულ მტაცებლებს.

შეტევაზე გადმოსული გერმანელები შევაჩერეთ, ამავე დროს ჩაქრობილი იქნა ურალში დაწყებული აჯანყება, რომელიც ცნობილია „დუტოვშჩინის“ სახელწოდებით. აქვე ჩეხოსლოვაკები, კოლჩაკი. ამ ძალის გასანადგურებლად წითელმა არმიამ აურება მსხვერპლი გაიღო, მრავალი საშვალებანი მოიხმარა და ორი თვის განმავლობაში თავგანწირული ბრძოლებით გაიარა მრავალი ათასი ვერსი და 1920 წლის მარტში საბოლოოდ გაანადგურა ის.

იმ დროს როდესაც კოლჩაკი მარცხდებოდა, სხვა ფრონტებზე გვიტევდენ ახალი მტრები.

არხანგელსკში ინგლისელებმა გადმოსხეს დესანტი, იუდენიჩი უტევდა ლენინგრადს, დენიკინი უახლოვდებოდა ტულას. ყირიმიდან გამოჩნდა ვრანგელი და დასავლეთიდან თავი წამოყო პოლონეთმა.

რევოლიუციას საფრთხე მოელოდა და მუშებისა და გლეხების კავშირმა ეს კარგად შეიგნო. მან კიდევ უფრო თავგამეტებით მოიკრიბა ძალები, ყველა ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან გამოიყვანა მუშების რეზერვი, გამოიყვანა მთელი ძალები, გადაიშალა თავისი ძლიერი მკერდი და საშინლად დაამსხვრია ყველა მტრები.

მაგრამ ზნედაცემულმა ბურჟუაზიამ, დაჰკარგა რა ყველა იმედები საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდებისათვის ბრძოლაში, იცვალა ფრონტი და დაიწყო ჩვენი შიგნიდან აფეთქება.

იწყება შიგნი აჯანყებები. ჩნდება მახნო, იწყება კრონშტადტის აჯანყება, ჩნდებიან ტამბოვის ბანდები. თეთრი ფინეთი, ჩვენი თეთრ-გვარდიელების მონაწილეობით გვიწყობს აჯანყებას კარელიაში. დონის მიდამოებში იფეთქა მეფის გენერლის პრჟევალსკის მეთაურობით მოწყობილმა აჯანყებამ.

მუშა და გლეხი ამსხვრევს თეთრ-გვარდიელების უკანასკნელ ცდებსაც.

ამის შემდეგ შესწყდა საბჭოთა-ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების ცდები.

მტრებმა იგრძნეს, რომ [...] ნი ვერ გასტეხავდენ წით[...] არმიის სიძლიერეს, რომ ი[...] თავს მიამტვრევდენ ამ [...] კლდეს.

იწყება ბრძოლის ახალი [...] —ბრძოლა ეკონომიურ ფრ[ონ]ტებზე. ისინი ეხლა ფიქრ[...] დაგვიმორჩილონ— დაგვამარ[...] ონ მშვიდობიანური გზით, [...] ჰგონია, რომ ჩვენ ვერ შ[...] ძლებთ სახელმწიფოს მარ[...] გამგეობას, ვერ გამოვაბრ[...] ბთ საკუთარ მეურნეობას.

**ეს არ მოხდება! ახსოვ[...] კაპიტალისტებს, რომ [...] ძლიერნი ვართ და ჩვენი [...] ძოლით მონაპოვარს არ[...] მივცემთ—რადგან ჩვენ [...] ავს წითელი არმია—მუ[...] და გლეხთა კავშირის არ[...]**

განმავამტკიცოთ მუშების[ა] [და] გლეხების კავშირი, შრომ[...] კაპიტალის წინააღმდეგ. უკა[ნა]სკნელ და გადამწყვეტ ბრძო[ლი]ბისათვის მთელ მსოფლიოში[...]

ს. ბუდიონ[ი]

# ბრძანება

## კავკასიის წითელ-დროშოვან არმიისადმი.

ქ. ტფილისი. **№ 75.** 1925 წ. 16 თებერვალი.

7 წლის უკან, 1918 წლის 23 თებერვალს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ მუშებისა და გლეხების ძალა-უფლების დასაცავად რუსეთისა და უცხოელი ბურჟუაზიის შეიარაღებული თავდასხმისაგან.

თავისი არსებობის პირველ წლებში წითელი არმია ეწყობოდა და სწავლობდა სამხედრო საქმეს და იმავე დროს აწარმოებდა გააფთრებულ ბრძოლას მტრებთან, რომლებიც სცდილობდენ გაენადგურებიათ მთელ ქვეყნიერებაზე არსებული პირველი მუშურ გლეხური სახელმწიფო.

სამოქალაქო ომის ამ დიდ ბრძოლებში წითელი არმია ხან მარცხდებოდა მრავალ რიცხოვან მტრებთან, რომლებიც უფრო გამოცდილი და უკეთ შეიარაღებული იყვნენ, ხან სასიკვდილო ლახვარს სცემდა მათ.

მშრომელთა მასების დახმარებით ძლიერმა წითელმა არმიამ დაამარცხა ყველა მტრები, როგორც გარეში, ისე შინაურ ფრონტებზე და საშუალება მისცა მუშებსა და გლეხებს ძმური კავშირით შესდგომოდენ მშვიდობიან მუშაობას—ომის მიერ დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენას.

წითელი არმიის მფარველობის ქვეშ გამტკიცდა და გაიზარდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი, რომელიც დღეს იცნო ბევრმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა.

დღეს რიცხვობრივად შემცირებული, შეკავშირებული მუშურ-გლეხური წითელი არმია აწარმოებს გაძლიერებულ მუშაობას დანარჩენი რიგების განმტკიცების საქმეში, დანდათან აუმჯობესებს თავის ნივთიერ მდგომარეობას, ანმტკიცებს მმართველობის აპარატს და აჰყავს უმაღლეს საფეხურზე მეომრის სამხედრო-პოლიტიკური სწავლების საქმე.

არმიის არსებობის მეშვიდე წელი—ეს იყო წითელი არმიის ტერნაწილების შექმნისა და განმტკიცების წელი.

ამხ. ლენინმა გვიანდერძა ჩვენ წითელი არმიისა და ფლოტის გაძლიერება. მთელი მუშაობა გასული წლის განმავლობაში სწარმოებდა ამ ანდერძების ასრულების გარშემო.

არსებობის მერვე წელში წითელი არმია უნდა გახდეს უფრო ძლიერი დისციპლინის მქონე და კავშირის მტკიცე საბრძოლო ძალა, რომელმაც უნდა გაატაროს ლენინიზმი მუშებისა და გლეხების ფართე მასებში.

ახალგაზრდა ტერიტორიალურმა ერთეულებმა წითელი არმიის ძირითად ნაწილებთან ერთად უნდა გააძლიერონ ჩვენი ძლევა-მოსილება და უფრო უნდა დაუახლოვონ კავშირის მშრომელი მოსახლეობა წითელ არმიასთან, მის საჭიროებასა და ინტერესებთან.

საბჭოთა ამიერ კავკასიის საზღვრებზე მდგომი კავკასიის წითელ დროშოვანი არმია წითელი არმიის მეშვიდე წლის თავზე დღესასწაულობს საქართველოს და ამიერ-კავკასიის მუშებსა და გლეხებთან ერთად საბჭოთა საქართველოს მეოთხე წლის თავს და აღნიშნავს ამით იმ ძმურ კავშირსა და სოლიდარობას, რომელიც არსებობს ამიერკავკასიის მშრომელთა მასებსა და ჩვენს კავკასის წითელ დროშოვანი არმიის შორის.

კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო მოუწოდებს არმიის ყველა მეომრებს, კომანდირებს და პოლიტ-მომუშავეებს დაუღალავად იმუშაონ წითელ არმიის ბრძოლის—უნარიანობის განმტკიცებისა და მშრომელებთან მტკიცე კავშირის დამყარების საქმეში, და უნდა ახსოვდეთ, რომ ეს არის საიმედო საფუძველი წითელი არმიის ძლიერებისა.

მხოლოდ შეუსუსტებელი ყურადღება, დაჭიმული მუშაობა და ყოველ მხრივი სწავლება დააყენებს კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ჯარებს იმ სიმაღლეზე, რომ მას ყოველ წუთში შეეძლება პასუხი გასცეს მსოფლიო იმპერიალიზმის მტაცებლებს, თუ ისინი მოინდომებენ ოქტომბრის მონაპოვრის შემუსვრას.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის უფროსი

**პუგაჩოვი.**

რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრები:

**ორჯონიკიძე, ელიავა. მისნიკოვი, კარაევი.**

პოლიტსამართველოს უფროსი **რატნეკი.**

# სომხეთის მსროლელ დივიზიის არსებობის ოთხი წლის თავი.

**პირველი და მეორე ქართული დივიზიები მხურვალედ ესალმებიან თავის სახელოვან თანამოძმე—სომხეთის წითელ დივიზიას.**

**გმირული ფურცლები, რომლითაც სავსეა მისი არსებობის ოთხი წლის ისტორია, საუკეთესო თავდებია იმისი, რომ მომავალშიც თუ საჭირო იქნება სომხეთის წითელი დივიზია იბრძოლებს საბჭოთა კავშირის ინტერესების საუკეთესო დამცველთა პირველ რიგებში.**

**გაუმარჯოს წითელ არმიას!**

**გაუმარჯოს მის სახელოვან რაზმს—სომხეთის წითელ დივიზიას!**

**ვაშა მას!**

## სომხეთის წითელი არმიის ჩასახვა.

1920 წელს 29 ნოემბერს სომხეთის მშრომელთა მასების ნებისყოფით სომხეთი გადაიქცა საბჭოთა მხარეთ.

დაშნაკელების მთავრობა (დაშნაკელები—სომხეთის წვრილბურჟუაზიული პარტიაა, რომელიც ეხლა, როგორც ქართველი მნიშევიკები სრულიად გაიხრწნენ,) გაიქცა, მიატოვა რა თავისი დედა-ქალაქი ერივანი.

საბჭოთა მთავრობას მემკვიდრეობაში გადაეცა დაშნაკელების მიერ სრულიად განადგურებული ქვეყანა. არმია, რომელიც გადმოვიდა საბჭოთა მთავრობის მხარეზე, მოქანცული და მოკლებული იყო ყოველგვარ საჭირო საშვალებებს განუწყვეტლივ ომების გამო. დაშნაკელების „ბატონობის“ უკანასკნელ თვეებში ის შეუჩერებლივ იხრწნებოდა.

სომხეთის საბჭოთა მთავრობის წინაშე წარმოიშვა ძლიერ მძიმე ამოცანა: რევოლიუციონურ არმიის შექმნა.

საჭირო იყო უპატიოსნეს უკეთეს ჯარის კაცების, ძველი არმიის **რევოლიუციონურ ფუძის გარშემო წითელი არმიის ჩამოყალიბება.**

ასეთი ნაწილი სომხეთის პირველი პოლკი იყო, რომელიც შესდგა საბჭოთა აზერბაიჯანში ბაქოს მუშებისაგან და იმ ულარიბეს გლეხებისაგან, რომლებიც გამოიქცენ სომხეთიდან 1920 წლის მაისში უშედეგოდ მომხდარ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. ეს პოლკი პირველად მოვიდა მოსახმარებლად იმავე წლის ნოემბერში მომხდარ აჯანყების დროს საბჭოთა აზერბაიჯანიდან.

წითელ არმიის ორგანიზაციასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლება თან და თან აუმჯობესებდა წითელ არმიელთა მატერიალურ მდგომარეობას. ეს მუშაობა ყველაზე უფრო ძიმე იყო, რადგან რკინის გზით მიმოსვლის საშუალებები იყო მხოლოდ მენშევიკურ საქართველოთი, რომელიც ერთ ვაგონს ფქვილს არ გაატარებდა თავის ტერიტორიაზე მომავალს, საბჭოთა აზერბეიჯანიდან ან და რუსეთიდან.

**პირველი საომარი ნათვლა.**

1920 წლის 29 ნოემბერს დამარცხებული დაშნაკები კონტრ-რევოლიუციონურ შეტევის გააფთრებულ მზადებაში იყვნენ.

კონტრ-რევოლიუციის გამარჯვების იმედს მათ უღვივებდა ძმურ რუსეთისგან სომხეთის ჩამოწყვეტა. ამ მხრივ დაშნაკელების პირველი ცდები 1921 წლის 22 იანვრის ჩქარა და დაუნდობლად ჩაქრობილ იქნა სომხეთის წითელ-არმიის მიერ. მაგრამ იმავე წლის თებერვალში წითელ არმიას, რომელიც იმ ხანებში კიდევ იმყოფებოდა ორგანიზაციის პერიოდში,



კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის რევსამხსაბჭოს წევრი ამხ. **მიასნიკოვი.**

მოუხდა ხანგრძლივი ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან. 45 დღის განმავლობაში სწარმოებდა გააფთრებული და უსწორო ბრძოლა ბევრად უფრო რიცხვობრივად მეტ მტერთან. პარტიამ მობილიზაცია უყო თავის ძალებს და გამოჰყო მათგან კომუნისტური რაზმები.

მიუხედავად იმ მძიმე მატერიალურ პირობებისა, რომელშიაც იმყოფებოდა ახალგაზრდა წითელი არმია, ის მაინც ერთი მეორეზე ამარცხებდა გათავხედებულ დაშნაკელებს.

45 დღის განუწყვეტლივ ბრძოლების შედეგად მტრის უმთავრესი ძალები დამარცხებული იქმნა, ნაწილი კი მისი საჩქაროდ მიეფარენ ზანგეზურის ძიუვალ მთებს.

გამარჯვება არ იყო საბოლოო. მტერი ყოველ წუთში ემუქრებოდა მშვიდობიან შრომას, წითელ არმიის ჩამოყალიბებას და სწავლებას.

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს ზანგეზურის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრას, რადგან ის ერიდება ზედმეტ სისხლს.

დაიწყო მოლაპარაკება. დაშნაკელები არ უცდიან მოლაპარაკების დასრულებას და ვერაგულად თავს ესხმიან 1921 წლის 15 ივნისს წითელ არმიის ნაწილებს. ეს გარემოება აიძულებს საბჭოთა ხელისუფლებას მოუწოდოს წითელი არმიის მტრის საბოლოო განადგურებისაკენ.

დაშლილი წითელი არმია, საშინელ მძიმე პირობებში—თითქმის ტიტველი, გმირულ გადასვლას აწარმოებს მტერზე, რომელიც გამაგრებულია მთებში და კიდევაც ანადგურებს მას საბოლოოდ.

**მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლა.**

კონტრ- რევოლიუციის ჩაქრობის შემდეგ წითელი არმია უნდა შესდგომოდა თავისი ჭრილობების განკურნვას. უნდა დაწყებულიყო სწავლება, მაგრამ ამისათვის შეიქმნა არახელსაყრელი პირობები- გლეხობა დიდათ დაზიანდა ამ დაუსრულებელ ომებისაგან. მოსავალიც ცუდი იყო და წითელ არმიელთა მდგომარეობა თანდათან მატერიალურად უარესდებოდა. ცუდი დრო დადგა სომხეთის წითელი არმიისათვის. დაიწყო დეზერტირობა, გამრავლდა გადამდები სნეულებანი, რომელმაც ათობით იმსხვერპლა წითელი-არმიელები. ყაზარმებში არა სანუგეშო მდგომარეობაში იყვნენ. ცხადია, ამ გვარ პირობებში ზედმეტიც იყო სწავლებაზე ლაპარაკი.

მაგრამ კომუნისტური პარტია იმედ დაკარგული არ იყო, მან კარგად იცოდა, რომ მძიმე დღეები ადრე გაივლიდენ. და მართლაც დახმარება, რომელიც აღმოუჩინა გლეხობას საბჭოთა მთავრობამ, დიდათ შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის აღორძინებას. ქვეყნის ეკონომიურად აღორძინებასთან ერთად გაუმჯობესდა წითელი არმიის მდგომარეობაც. ამ მხრივ გარდამტეხ მომენტათ დივიზიის ისტორიაში უნდა ჩაითვალოს 1922 ის შუა წელი.

შეკეთდა ყაზარმები, წითელ არმიელებმა ჩაიცვეს, დაიხურეს და სხვა. დეზერტირობაც თანდათან გაქრა. უფროსს წლევებს დემობილიზაცია უყავით, ახალგაზრდები კი გავიწვიეთ.

**სამხედრო სწავლების წლები.**

დაიწყო გაძლიერებული პოლიტიკური და განმანათლებელი მუშაობა. მშვიდობიანურ პირობებში მყოფი წითელი არმიელები სისტემატიურად მეცადინეობენ სამხედრო საქმეში. ამ გვარად დივიზია ყოველ დღიურ მუშაობისაგან იქმნება მთლიანი სამხედრო, პოლიტიკურად შეგნებული, ერთეული.

ამასთანავე ერთად მის წინაშე ისმება უფ-და-პოლიტ-შემადგენლობის მუშა და გლეხებისაგან გამოსულ პირებით შევსების საკითხი.

იხსნება სამხედრო-პოლიტიკური სკოლა, რომელიც უშვებს პოლიტ-მომუშავეებს და მეთაურთა კურსები (ეხლა, მეთაურთა სკოლა), წითელ კომანდირებს. თავის არსებობის 1 ნახ. 2 წლის განმავლობაში ისინი იძლეოდენ დივიზიისათვის ახალს და მომზადებულს მუშაკებს, რასაც მომავალშიც შეასრულებენ.

სომხეთის დივიზიის 4 წლის არსებობა აზერბეიჯანის, ქართულ და რუსულ დივიზიების საერთო ოჯახში გვიმტკიცებს, რომ მის მიერ განვლილი გზა ძლიერ ძნელი და მძიმე იყო. კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით ეს გზა განვლილია. წითელ არმიის მე 7-დე წლის თავზე—სომხეთის დივიზია ანგარიშს უკეთებს თავის მიღწევებს ოთხი წლის განმავლობაში.

ის, როგორც წარსულში, ეხლაც მზათაა კიდევ მეტი გაჭირვება და დანაკლისი გადაიტანოს, რადგან ამ გაჭირვებამ გამოიღო დიდი ნაყოფი, რაშიაც სომხეთის დივიზიასაც წილი უდევ—ეს არის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის გაძლიერება.

**გაუმარჯოს სომხეთის დივიზიის არსებობის მე-4 ე წლის თავს.**

**გაუმარჯოს წითელი არმიის 7 წლის თავს!**

**ს. ასლიბეკიანი.**

---

მომზადებული ცხენოსნების (ყაზახები) მათ ხელს უწყობდა. სამოქალაქო ომში ცხენოსან ჯარს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს ჯერ კიდევ კარგად არ იყო მაშვინ შეგნებული. მიუხედავად ამისა პირველი ცხენოსანი არმია მაინც განაგრძობდა სტიქიურად გაძლიერებას. მისი მოქმედება თავიდან იყო გმირული, მისი სულისჩამდგმელი ამხ. ბუდიონი, უბრალო გლეხის შვილი, თავდადებული იბრძოდა და მიყავდა თავისი არმია გამარჯვებისაკენ.

მაგრამ სინამდვილე დაჟინებით მოითხოვდა ცხენოსანი ჯარის გაძლიერებას; უამისოთ შეუძლებელი ხდებოდა დენიკინის ცხენოსანი ნაწილების დაძლევა. მაშინ გაისმა ხმა ამხ. ტროცკისა: „პროლეტარებო ცხენზედ“. და იწყო დენა მუშებმა და გლეხებმა ცხენოსან არმიისაკენ.

რიცხვს მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ ძირედი კარგი არის.

პირველ ცხენოსანმა არმიამ მიიღო ახალი ამხანაგები და ჩაუნერგა მათ სული გამარჯვების, რომელიც წითელი ასოებით ეწერა მის დროშებზედ. მშრომელი ხალხი ვერ დაივიწყებს მის ძუზაობას. შეიძლება გაბედულათ ითქვას, რომ დენიკინის დამარცხება—მისი საქმეა. ვრანგელის განადგურებაში, მან პირველი როლი ითამაშა. პოლონეთის ასპარეზზედ ის ვეფხვივით ეკვეთა მტერს და ალაპარაკა მთელი მსოფლიო. თვით თავმომწონე ფრანგებმაც კი უწოდეს მას თავისი ისტორიული გმირის—მიურატის სახელი.

ვაშა პირველ ცხენოსან არმიას და მის მეთაურს ამხ. ბუდიონის.

**ი. დოლიძე.**

---

## ბრძოლის და სწავლის შვიდი წელი.

(1918 წ. 23) II თებ 1925 წ. 23 თებერ. დღეს სრულდება შვიდი წელი რაც საძირკველი ჩაეყარა წითელ არმიის არსებობას.

შვიდი წელი არ არის დიდი დრო, მაგრამ რევოლიუციონურ ხანაში, მას აქვს მთელი ეპოქის მნიშვნელობა. ამ ხნის განმავლობაში—წითელმა არმიამ გამოიჩინა საკვირველი სიმამაცე, სიმხნევე, ენერგია და ბრძოლის უნარი; მან დაამარცხა საბჭოთა მთავრობის, უამრავი მტრები, მან გაკაფა ეკლიანი გზა, რომელზედაც იზრდებოდა რეაქციის შავი ძალები, მან მოჰკვეთა თავი კონტრრევოლიუციის ვეშაპს და აღგავა ის დედამიწის მეექვსედ ნაწილიდან.

წითელი ჯარის პირველი რაზმები წითელი გვარდიისაგან შესდგებოდა.

წითელი გვარდია შესდგებოდა ფაბრიკა—ქარხნების მუშებიდან და მშრომელი ღარიბესი გლეხის შვილებიდან. მან ითამაშა გადამჭრელი როლი

საბჭოთა მთავრობის არსებობის ხანაში, მან მოგვცა საშუალება საძირკველი ჩაგვეყარა წითელი არმიისათვის. ამიტომ წითელი გვარდიას საპატიო ადგილი უკავია წითელი არმიის ისტორიაში. ის იყო ის მტკიცე საძირკველი, რომელზედაც აშენდა და განვითარდა წითელი არმია.

მძიმე და ძნელი იყო წითელი არმიის პირველი სამი წლის გზა.

წითელმა არმიამ გადალახა დიდძალი დაბრკოლებები, მან განვლო ციმბირის თვალუწვდენელი უდაბნოები, გადაიარა კავკასიონის მთების მწვერვალები, გადალახა ჩრდილოეთი, სამხრეთი. თავისი გმირული ბრძოლით გაანთავისუფლა უკრაინა—გერმანიის ჯარებისაგან გეტმან სკორაპადსკის, პეტლიურას ბატონობისაგან, მან ძირშივე ჩაახშო ატამან გრიგორიევის ავანტიურა და ღალატი, მან განდევნა დასავლეთ იმპერიალისტების ჯარები და მით გაანთავისუფლა უკრაინის მშრომელი ხალხი მემამულე—კაპიტალისტების ბატონობისაგან.

ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, რისხვად მოევლინა ესერ—მენშევიკების დაქირავებულ შავ—ძალებს მდ. ვოლგის მხარეებში. მისგან საშინელი მკაცრი დამარცხება იგემა კოლჩაკის ჯარებმა.

წითელმა არმიამ გაანადგურა მეფის ძველ გენერლების დენიკინ-ვრანგელის იუდენიჩის ბანდები და გაანთავისუფლა რუსეთის ჩრდილოეთის ნაწილი ინგლისის იმპერიალისტური ჯარებისაგან, ხოლო სამხრეთით საქართველო, სომხეთი აზერბეიჯანი მენშევიკ—დაშნაკ—მუსავატელებისაგან.

წითელი არმია მუდამ მტკიცედ იდგა თავის საგუშაგოზე და პირნათლად ასრულებდა თავის წმინდა მოვალეობას მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დაცვის საქმეში. ნახევრად შიშველ-ტიტველი და მშიერი ის ახდენდა ნამდვილ სასწაულებს და შიშის ზარს გვრიდა მტერს.

დღეს, როდესაც ვიმყოფებით იმპერიალისტურ სახელმწიფოებით გარშემორტყმული და საერთაშორისო პროლეტარიატი ჯერ კიდევ იზნიქება კაპიტალიზმის მძიმე უღლის ქვეშ და არ არის მზათ, ეკვეთოს თავის მტერს, ჩვენი წითელი ჯარის მოვალეობა კიდევ უფრო იზრდება და დიადი ხდება.



კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის რევსამხსაბჭოს წევრი ამხ. **ორჯონიკიძე.**

წითელი არმიის მდგომარეობა დღეს გაცილებით მტკიცეა ვინემ ეს იყო ამ რამოდენიმე წლის წინად, როდესაც ის ებრძოდა მუშათა კლასის მტრებს და დაამარცხა ისინი. დღეს წითელი არმია ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული და ოთხი წლის მშვიდობიანი სამხედრო სწავლით უკვე წარმოადგენს მრისხანე ძალას ჩვენი მტრებისათვის.

წითელი-არმიის განმტკიცებას ხელს უწყობენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასები, მუშურ-გლეხური ხელისუფლება და მისი ბელადი კომპარტია, წითელი ჯარი დაიბადა, აღიზარდა და განამტკიცდა სამოქალაქო ომის პროცესში, მტრებთან ბრძოლაში და მას მისი ამოცანის შესრულება საბჭოთა მთავრობის დაცვის საქმეში მით უფრო უადვილდება დღეს.

დღეს წითელ არმიას წინ უდგას ამ მშვიდობიანობის ხანაში, ორი უმთავრესი ამოცანა.

პირველი—წითელი ჯარის რეგულიარული ნაწილების გამაგრება, განმტკიცება, მათი პოლიტიკური და სამხედრო მომზადება. მეორე კი—ტერ-ნაწილების ანუ მილიციონური ჯარის შექმნა, მისი მშრომელ მასებთან დაახლოება და აღზრდა, რომ ის დარჩეს სამხედრო საქმისათვის არა ნაკლებ



კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის რევსამსაბჭოს წევრი ამხ. **ელიავა.**

მომზადებული, მის რეგულიარულ მოძმეებთან.

შემდეგ აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს ეროვნული ჯარის შექმნის საქმის წინ წაწევა და კერძოთ კი საქართველოს წითელი ჯარის განმტკიცება, აღზრდა რათა ის გახდეს ღირსეული თანამებრძოლი თავისი უფროსი მოძმის, რუსეთის წითელი ჯარის.

წითელი არმიის მეშვიდე წლის თავზე, ქართულ წითელ ჯარმა უნდა დაისახოს თავისი რიგების მეტი განმტკიცება და გაფოლადება.

ამისათვის მან უნდა გამოიყენოს წითელი არმიის შვიდი წლის გაკვეთილები.

ჩვენ არა ერთი და ორი შეტაკება მოგვიხდება მომავალში კაპიტალისტურ ქვეყანასთან.

ამ ბრძოლებისათვის მუდამ მზად უნდა ვიყოთ ყოველთვის და ჩვენ გვწამს, რომ წითელი არმია, რომელიც გამარჯვებული იყო მშრომელთა ხალხის მტრებთან ბრძოლაში, მომავალშიც თავისი სიმტკიცით, ძლიერებით და სიმამაცით უფრო მეტად უზრუნველყოფს შრომის საბოლოო გამარჯვებას კაპიტალზე.

**ვ. სიხარულიძე.**

# კურსანტებმა უშველეს.

1919 წ. ეს იყო გააფთრებული ბრძოლის წელი.

კონტრ-რევოლიუციის ცეცხლის რკალში მომწყვდეული წითელი არმია ემზადებოდა გადამწყვეტი დაკვრისათვის.

საბჭოთა რესპუბლიკა ბეწვზე ეკიდა.

სამხრეთიდან დენიკინის თეთრგვარდიელთა ბანდების აღვირახსნილი ტალღა მოგორავდა რესპუბლიკის ფოლადოვან გულის ტულისაკენ, აღმოსავლეთიდან ადმირალმა კოლჩაკმა გიგანტური ლაშქრული მარშით გადმოაბიჯა ჩვენს დედა-მდინარე ვოლგაზე, ჩრდი-



კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პოლიტ-სამმართველოს უფროსი და ამავე რევსამხსაბჭოს წევრი ამხ. **რატნეკი.**

ლოეთიდან—შავი მონარქისტი იუდენიჩი შიშის ზარს სცემდა მცხოვრებლებს „მშვიდობიანობის მოყვარულ" ინგლისელების მიერ ნაფეშქაშევ ზღაპრული ტანკებით.

ხოლო ამ დროს კი რუსეთის ცენტრში—წითელ მოსკოვში, აღმოჩენილ იქნა კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება.

„რევოლიუცია საფრთხეშია" —ისმოდა ოქტომბრის მონაპოვართა დამცველის ყოველ გულის ცემაში. ქალაქები სიმაგრეებს ივლებდენ თავიანთ გარშემო. მავთულ-ხლართები და თხრილები მოუწოდებდენ დაცვისათვის.

ასეთ ტრაგიულ მომენტში ჩვენს გომელის მეთაურთა კურსებს მიეცა ამოცანა ამ გარიყო სამოსწავლო სკამ დან და გადასულიყო თხრილებში.

ნოემბრის შუა რიცხვებია. ქუჩებში წელამდი თოვლია. განძრევა შეუძლებელია. ხოლო განგაშით გამოწვეული კურსანტები განმწკრივი ძუნძულით მიეშურებიან გომელის სადგურისაკენ. არ დაგვჭირვებია ლოდინი. ყველაფერი მხედრული წესით კეთდებოდა. იბღავლა საყვირმა და მატარებელიც დაიძრა. „ნეტავი ადრე მივიდოდეთ"—ამბობდენ წითელი კურსანტები.

აი, სოფელი დემიდოვკაც. ვიმარაგებთ ვაზნებს.

ფრონტი ხუთ ვერსზეა.

სოფელი პილნიაკი, რომე-



კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. **კარაევი.**

ლშიაც ჩვენ მივედით, უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა: დამსხვრეული ქოხები, ყუმბარებით დალეწილი ხეები—ყველაფერი ეს ახლად გადახდილ ომის შესახებ ლაპარაკობდა.

ჩვენ შევუერთდით 1-ლ ინტერნაციონალურ პოლკს.

ამ პოლკში იყო ჩინელები, ნემცები, პოლონელები, მადიარები, და რუსები.

სიხარულით ცას ეწიენ ჩვენი მისვლით.

„შვიდჯერ ჩვენი პოლკი შეტევაზე წავიდა და შვიდჯერ უკან გამოიქცა"—გვიხსნის ჩვენ დამტვრეული ენით ჩინელი.

# მე-7 წელზე.

ოქტომბრის ამაყ ძახილით
მოდის წითელი ჯარი;
ხელში ელვარე მახვილით,
მტრებს გულს დაუსვა ჯვარი!..

მოდის და თან მოაქვს შვება,
მზისკენ ანალერები;
დროშა ძირს არსად ეშვება—
კომუნით ნამღერები!...

მზად არს თავ გასაწირავად,—
ყიჟინით ჰლახავს სერებს;
მჩაგვრელნი ააყირავა—
და, იცავს მცირე ერებს!..

აჰა, დაეწყვნენ ქუჩებზე,—
მტკიცე ნაბიჯით ჰქრიან;
მშრომელნი, ლამაზ ურჩებზე,
ყვავილებს ლოცვით ჰყრიან!..

ქალაქი ფაფარ ნაყარი,—
სოფელს სალხენად იწვევს,
თავისუფლების მაყარი
სიყვარულით ზე იწევს!..

ცა, ფირუზ თვალთა ციალით,
ანცებს ესალმუნება;—
გამარჯვებათა გრიალით
ჰიმნს უგალობს ბუნება!..

ძველ მსოფლიოზე, შეტევით,
ეხლაც იგუგუნება; —
გაისმის მუსიკა, ძლევით,
სამყარო ილუნება!..

ვიხაროთ ჩვენც, მშრომელთ
მცველზე,
ვინც გვაშორა ტყვეობა;
შექმნიდან მეშვიდე წელზე
გადვუხადოთ დღეობა!..

მოდიან, ვისაც რომ დაღლა
არა სწამს ბრძოლის ველზე;
სმენა! და ქუდები მაღლა!—
გადავეხვიოთ ყელზე!..

**სეზმან.**

# 1920 წლის 11 ნოემბერი.

## სივაშის სრუტის აღება.

### მოგონება ვრანგელის ფრონტის ლიკვიდაციიდან.

წყნარი, ოდნავ სუსხიანი ღამე თანდათან შლიდა თავის ბნელ ფრთებს და ბურუსში ახვევდა მოპირდაპირეთა პოზიციებს. ბუნდოვანად მოსჩანდა სადგური ჩონგარი და ახლო მდებარე გორაკები. ჯერ კიდევ ოდნავ შეამჩნევდით ვრანგელელთა თხრილებს, მაგრამ თანდათანობით ნთქავდა მას ღამის უფსკრული. დასავლეთით თანდათან ჰქრებოდა დაისის უკანასკნელი ლაჟღაჟი. მალე ისიც გაჰქრა და უჩინარმა ხელმა სრულიად ჩაიხვია დედამიწა ბნელ გულ-მკერდში.

ჩვენი პოზიციის მარჯვენა ფრთაზე, რკინის გზის ხიდსა და სადგურ სივაშის ახლოს, თეთრების მხრიდან დროგამოშვებით მოისმოდა გრიალი, ხუილით გაიელვებდა ჰაერში ცეცხლის გველი, ამას მოჰყვებოდა აფეთქების ხმა და გორაკის მწვერვალს თავს დაედგმებოდა მოთეთრო—ცეცხლის ჯილა: ეს—ყუმბარა სკდებოდა. აქა იქ ისმოდა შაშხანას ცივი ხმა და ტყვიამფრქვევის რაკრაკი... თანდათან უკლეს ორხვრას სიკვდილის იარაღებმა და დღიური სისხლიანი მუშაობის შემდეგ დასასვენებლად ემზადებოდენ.

ჩვენს თხრილებში სიწყნარეა ყურადღებას არ ვაქცევდით თეთრ—ბურჟუაზიულ ტყვებისა და ყუმბარების ზუზუნს, ერთხელაც არ გაგვისვრია საპასუხოდ და არაფერი არ არღვევდა სიჩუმეს ჩვენს საფრებში.

ჩვენი თხრილები დაკლაკნილი ხაზებით მიდიოდენ მარჯვნივ და მარცხნივ და შორეულ სიბნელეში იკარგებოდენ. უკან, ას საჟენზე, ბორცვის მოფარებით მოწყობილი იყო ჩვენი ბატარეები. სამ დუიმიანებს აეღირათ თავები და მზად იყვნენ თავიანთი სასიკვდილო ნახველი ჩაეფურთხებინათ სისხლმოწყურ კაპიტალის ხახაში.

მიუხედავათ საგანგებო სიჩუმისა, ჩვენს თხრილებში შეამჩნევდით ფუსფუსს, მოძრაობას, მეთაურთა და პოლიტშემადგენლობას და აგრეთვე თხრილების ყველა ბინადრებს რაღაც ნერვიულობა ემჩნეოდა.

ათასეულებიდან, გუნდებიდან და რაზმეულებიდან მოსული კავშირის არმიელები წინ და უკან გარბოდენ საკავშირო თხრილებში. ტყვიამფრქვევზე მდგომი არმიელები სტენიდენ „ლენტებს", აწყობდენ ყუთებში და ხსნიდენ ტყვიამფრქვევებს სამფეხებიდან.

მსროლელები ჯგუფ—ჯგუფად დაგროვილიყვნენ 4—5 კაცი და განსაკუთრებული სახის მეტყველებით რაღაცაზე ნერვიულად მსჯელობდენ. ეტყობოდა—რაღაც უნდა მომხდარიყო. და მართლაც იყო მიზეზები იმისთვის, რომ გვემსჯელა, გვერბინა და გვეფუსფუსა.

დივიზიის თავიდან დაწყებული მსროლელამდი ყველამ იცოდა დღევანდელი ამოცანა და ყველას კარგად ესმოდა ამ ამოცანის სიძნელე.

იყო ბრძანება მოკლე და გარკვეული:

**ალებულ იქნას სივაში!**

უკვე რვა დღე და ღამე იდგა დივიზია სივაშის ხელოვნურ და ბუნებრივ სიმაგრეების წინაშე. ეს იყო 50 ნაბიჯზე ყირიმიდან და 250 ნაბიჯზე ვრანგელელებისაგან. უკვე სახელოვანი წითელი არმიის 7 იერიში იქნა მოგერიებული კაპიტალის დაქირავებულთა მიერ და ამ იერიშებმა იმ ხვერპლა საუკეთესო მეომართა ერთი ნახევარი.

საიმედოდ გამაგრებულ პოზიციაზე თეთრგვარდიელები თავგანწირულად იცავდენ თავიანთ უკანასკნელ ფუძეს. დღისით და ღამით განუწყვეტლივ ისროდენ ასობით ყუმბარებს 9 დუიმიან ზარბაზნებიდან. არც ერთი წუთით არ ისვენებდა მათი ტყვიამფრქვევები და ჰაეროპლანები, დღეში რამოდენიმეჯერ წამოგვ ქროლებდა და დაგვაყრიდა თავზე ბომბებს.

ჯავშნოსნები, ჰაეროპლანები, ტანკები, ყველა ყალიბის იარაღები, პროჟექტორები, ტყვიამფრქვევები და სხვა და სხვა მრავლად მიეპოვებოდათ ანტანტის წყალობით ოქროსა და სახელს მოწყურებულ ყირიმის ავანტიურისტებს.

სუსტი იყო ყოველივე ამის წინააღმდეგ ჩვენი ტყვიამფრქვევები, თოფები და სულ ცოტა მცირე ყალიბიანი ზარბაზნები, მაგრამ ჩვენ გვყავდა ძლიერი, რევოლიუციონურ სულით გაჟღენთილი, მტკიცედ შეკავშირებული არმია, რომლის ნაწილს წარმოადგენდა ჩვენი დივიზია, წითელ ტალღად აღმართული სივაშის ავანტიურისტების წინააღმდეგ.

შუაღამე მოიწევდა. საიდგანღაც მოიტანეს სამი ნავი, რომლებზედაც დივიზიის ნაწილი უნდა გაცურებულიყო სივაში სრუტეში. მესანგრეებმა დანგრეულ ჩონგარის ხიდის ახლოს გააკეთეს ვიწრო ხიდი, რომელზედაც ერთ კაცსაც კი გაუჭირდებოდა გავლა.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე ჩავუშვით ნავები და დიდის სიფრთხილით დაწყებულ იქნა გადასვლა სრუტის მეორე ნაპირზე. ხელს გვიწყობდა ბნელი ღამე და ყუმბარების მიერ ამოხეთქილი ძაბრისებური ორმოები, რომლებშიაც ნავიდან გადასვლისთანავე იკრიბებოდა ათ-ათი კაცი. ამ სიფრთხილით ჩვენ თანდათან გადაგვყავდა მეორე ნაპირზე გუნდები.

მაგრამ ჩვენი სიჩუმით რაღაც იგრძნო მტერმა და იელვა პროჟექტორებმა ცაზე ყოველი მიმართულებით. გიგანტიური ელვის ხმლები აპობდენ ღამის სიბნელეს, ბოლოს იელვა ჩვენს თავზე და სრულიად გაანათა ის ადგილი, საიდაც ჩვენ გადავდიოდით. .... როგორც ხელის გულზე, ისე მოვჩანდით ჩვენ ორასიოდე ნაბიჯზე მათი თხრილებიდან.

არ გასულა ერთი წუთიც, რომ მათი მხრიდან არაკრაკდა ჯერ ერთი ტყვიამფრქვევი, შემდეგ 3 4, ხოლო 5 წუთის შემდეგ მათ დაანთეს ჯოჯოხეთური ცეცხლი ზარბაზნებიდან, ტყვიამფრქვევიდან და შაშხანებიდან. ყუმბარები სკდებოდა წყლის ორივე ნაპირზე და წყალში, ისროდა ჰაერში მტვერს, გაყინულ ტალახის და წყლის ბოძებს.

შრაპნელი ცივად სკდებოდა ჩვენს პირდაპირ და თავზე გვაცვიოდა ტყვიების ცხელი წვიმა.

მიუხედავად თეთრების ჯოჯოხეთური ცეცხლისა მთელი მეორე ბრიგადა გადავიდა მე-

წინ, გამაგრებულ ადგილზე —სოფელ გორონკაში გამაგრებული იყვნენ იუნკრები.

გვიხსნიან ჩვენ მომავალი საბრძოლო ოპერაციის ამოცანას.

მივდივართ მოვლით. მივიწევთ ჩუმად, მხოლოდ ჩვენ ფეხით ქვეშ თოვლი ჭრიალებს.

ძლივს! გაისმა მარჯვნიდან და მთელ ტყეს მოედო ჩვენი ძლიერი „ურა"...

ტყვიამფრქვევები რაკრაკებდენ.

ყურთან ხანგამოშვებით იწივლებს როყიო ტყვია.

და უცებ სიჩუმე ჩამოვარდება.

ვერც კი მოვასწარით სოფელთან მისვლა ამართული „ფლაგით", რომ თეთრები უკვე გარბოდენ.

ხ.—სკი.

---

ჩვენ ვსდგევართ კლასობრივ შეიარაღების ნიადაგზე; ჩვენ მით ვიმარჯვებდით და მით გვიმარჯვებთ ულველთვის.

(ლენინის სიტყვებიდან საბჭოების მერვე ყრილობაზე)

---

## არ შედრკება ჩვენი გული.

ოქტომბრის მონაპოვართა საუკეთესო დამცველი, ყველა ჩაგრულისა და დამონავებულის მოსარჩლე, მშრომელი ხალხის სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი, ძლევა მოსილი და შეუპოვარი წითელი არმია დღეს დღესასწაულობს თავისი არსებობის შვიდი წლის თავს.

ჩვენც ქართველი წითელ-არმიელები დიდი აღფრთოვანებით ვეგებებით ამ დღესასწაულს.

როგორც ნამდვილი მუშებისა და გლეხების შვილები, ვიძლევით მხედრულ ფიცს, რომ არ ვულალატოთ მუშურ გლეხურ ხელისუფლებას. დღეს ერთხელ კიდევ ვამცნობთ მთელ ქვეყანას, რომ ჩაგრულთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში არ შედრკება ჩვენი გული და ძირს არ დაიხრება თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღვრილი სისხლით განბანილი წითელი დროშა.

ჩვენ ყოველთვის მტკიცეთ ვიქნებით საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოებზე.

დღეს სახელოვან წითელი არმიის არსებობის შვიდი წლის თავზე, ჩვენი მხედრული სიტყვაა—

**უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ სისხლით მონაპოვარ თავისუფლებას.**

გაუმარჯოს ჩაგრულთა განთავისუფლებისათვის წარმოებულ ჩვენს ბრძოლებს!

გაუმარჯოს წითელი არმიის შვიდი წლის თავს!

პირ. ლეგ. წ. არმიელი მ. ხ. ოდიშარია.

---

**ჩვენ შეგვიძლია ომის წარმოება, რადგან მასსებმა იციან თუ რისთვის იბრძვიან, მიუხედავათ გაუგონარ სიმძიმისა, იციან, რომ იღებენ საშინელ, უზომო მძიმე მსხვერპლს, როდესაც იცავენ თავის სოციალისტურ საქმეს** (ლენინი „საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები და დაბრკოლებანი" ბროშიურა)

---

ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყვეთ საომრად. ჩვენ არ უნდა ვამყარებდეთ იმედებს იმ დამარცხებებზე, რომელიც ჩვენ ვარგუნეთ იმპერიალიზმს, ამიტომ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, წითელი არმია უნდა გვყავდეს საბრძოლო მზადებაში და უნდა ვამლიერებდეთ მისი ბრძოლის უნარიანობას.

ლენინი.

---

## ბრძოლისა და გამარჯვების დღეები.

ზაფხულის სიცხიანი დღეები იდგა.

გლეხობა თივის თიბვას შეუდგა.

გაცხარებული მუშაობა მიდიოდა.

ოლქში გავარდა ხმა: ლეგიონები უკან იხევენ, სოფლებს სწვავენ და ანადგურებენო.

გლეხობა აღელდა. ზოგიერთებმა, რომლებიც ბაზარში იყვნენ ნასული, თავის თვალით ნახეს თუ როგორ იბიზნებოდენ დაწესებულებები. არავის ეჭვი არ ჰქონდა იმაში, რომ უკან დახევა უკვე დაწყებული იყო. ლეგიონებს საბარგულები აღარ ყოფნიდათ. დაიწყეს გლეხების საბარგულების გაყვანა.

—მხოლოდ ერთი დღით და შემდეგ დავაბრუნებთ—ამბობდენ ლეგიონერები (პოლონელები ჯარის კაცები).

გლეხები ასიმით იზიდავდენ ქალაქში. შემდეგ ისინი მთელი დღეობით იცდიდენ, წვალობდენ, ეძინათ ღია ცის ქვეშ და ელოდებოდენ როდის გაგვიშვებენ.

ქალაქი მინსკი ჟანდარმების ბუდე იყო.

როცა ცხენებს საკვები გამოელეოდა, ჟანდარმები გაგზავნიდენ რამოდენიმე ლეგიონერს საბარგულებით თივის მოსატანად. თივა მოჰქონდათ მინდვრიდან, აძლევდენ გლეხებს და ეუბნებოდენ:

„ხედავთ, ჩვენ რა კეთილი ხალხი ვართ, თქვენს ცხენებს უფასოდ ვკვებავთ".

ჟანდარმთა პოლკოვნიკი, ჩასუქებული და ბრტყელ კეფიანი, არ იშურებდა თავის მეთახს, რომელსაც საკუთარი ხელით „აჩუქებდა" გლეხების ზურგზე. ასე გრძელდება ორი კვირა.

მაგრამ გლეხობა დიდხანს აღარ გაჩერებულა ამ მდგომარეობაში.

—სულ ერთია, მაინც არ გვიშველიან—ამბობდენ ისინი და გარბოდენ ტყეებს და ღრეში.

მინსკში დუქნები დაკეტილი იყო.

გავრცელებული იყო ქურდობა და ცარცვა.

პოლონეთის სარდლობა ამას ხელს უწყობდა და საშუალებას აძლევდა ჯარის კაცებს ემსუნაგათ სხვის ქონებაზე.

ლეგიონერები შეუვარდებოდენ მცხოვრებლებს ოჯახში, მიჰქონდათ ყველაფერი რაც კი ხელში მოუყვებოდათ, ოღონდ წითლებისთვის არაფერი დაეტოვებიათ. ძარცვით სცხოვრობდა და თავს ინახავდა ყოველი სამხედრო ნაწილი.

მასიობაში წითელი არმია უახლოვდებოდა მინსკს. დადგა პოლონელების ბატონობის უკანასკნელი დღე. ღამით მთვრალმა ლეგიონერებმა ცეცხლი გაუჩინეს ფაბრიკებს და ქარხნებს. ქალაქი უზარმაზარ კოცონს წარმოადგენდა.

მცხოვრებლებს არ ეძინათ. მომზადებული ჰქონდათ წყალი და ვიწიაობდენ ცეცხლს გაუჩინდენ სახლებს. ცეცხლის საქრობი ხელსაწყოები პოლონელებმა ჯერ კიდევ ერთი დღით ადრე გაიტანეს.

ღამემ განგაშში გაიარა.

დილით მოისმა შორიდან ზარბაზნის ხმა.

ზარბაზნის გრიალი თანდათან იზრდებოდა.

დილის რვა საათზე მოისმა ტყვიამფრქვევების რაკრაკი, ქალაქ გარეთ ძლიერი ბრძოლა მიდიოდა.

მაგრამ მოვიდა დრო და დაჰკრა საათმა.

კუდამოძუებული ლეგიონერები გარბოდენ უკან რამოდენიმე მიმართულებით.

რომ უფრო ადვილად გაქცეულიყვნენ, იხდიდენ ფეხსაცმელებს და ჰყრიდენ სამხედრო მოწყობილობას.

კიდევ რამოდენიმე წუთი და მინსკი უკვე წითლების ხელში იყო.

დაღლილი, მშიერი და ჭუჭყიანი შევიდა ქალაქში წითელი არმია.

მცხოვრებლები სიხარულით შეეგებენ წითელ-არმიელებს, ჰკოცნიდენ მათ, რთავდენ ყვავილებით, ლენტებით. იმართებოდა მიტინგები.

ეს იყო 1920 წლის თერთმეტ ივლისს. ამ დღეს პირველად დაიძინა მშვიდად მინსკის მცხოვრებლებმა.

თავისუფალი.

---

ორე ნაპირს და ჩასაფრდა ძაბრებში.

მალე განკარგულებაც მივიღეთ. მსროლელნი ძაბრებიდან აიძრნენ, გასწორდნენ და გამოეფინენ წინ. მტერმა უმხვევრად გააძლიერა ცეცხლი. [illegible] იყო ეუერო სმენა: [illegible] ნაწილის როლიც საშინლად [illegible] მტერი [illegible] თეთრები [illegible] ჰქონდა [illegible] წითელი რიგები [illegible] და ლამობდა მათ გაფანტვას [illegible] და აღმავალ პირობებში. [illegible] იყო დივიზიის საბრძოლო გმირების შეურყეველი [illegible] სიტყვები, [illegible] მიმართავდენ [illegible] წაგრძელებულ მტრის [illegible] და თანდათან [illegible].

[illegible] თხრილებიდან [illegible] ჩვენი რიგები, [illegible] ამოაგდებს დაიჭირეს [illegible] ადგილის, [illegible] მაღლობის და მტრის [illegible] და 10 ნაბიჯზე ტყვიამფრქვევებისა და ზარბაზნე-

ბის ლულებიდან შეუდგა თავის მუშაობას.

50 ნაბიჯზე თეთრების თხრილებიდან განკარგულებისთანავე [illegible] რიგები გადაიხვია წინ, გაერთიანდა [illegible] და „ურაა" მოულოდნელობით გამოვარდა მტრის თხრილებთან.

ვეღარ გაუძლეს თეთრებმა წითელ ხიშტებს: დამყარეს ტყვიამფრქვევები, აეუხებული თოფი, მთელი ზარბაზნები და თავზარდაცემული გაიქცნენ.

ხიდი აიღეს, ამოცანა შესრულებულ იქნა. გაიწმინდა გზა ჯარისთვის.

მაგრამ ძვირად დაგვიჯდა ჩვენ ეს გამარჯვება. ბევრი სახელოვანი შვილი დაჰკარგა რესპუბლიკამ. საგრძნობელად შეთხელდა მე-30-ე იაკუტის მსროლელ დივიზიის გმირული ნაწილები, რომლის სახელი ჯერ კიდევ „ურალის მთებზე, ციმბირის „ტაიგის" [illegible] რომლებმაც მიიღეს [illegible] რამოდენიმე წითელი დროშა.

მონაწილე.

---

ვინც თავდადებით და სავსებით არ ეხმარება წითელ არმიას, არ იცავს მის წესრიგს და დისციპლინას, ის გამცემი და მოღალატეა, ის „კოლჩაკოვშჩინის" მომხრეა და ასეთი განადგურებული უნდა იქნეს დაუნდობლად.

ლენინი.

---

## ამხ. პუგაჩოვის გადაყვანის გამო.



ამხ სიმონ ანდრიას-ძე პუგაჩოვმა დაასრულა ძველი არმიის გენერალურ შტაბის აკადემია. წითელ არმიაში ამხ. პუგაჩოვმა სამსახური დაიწყო 1918 წლიდან. მან დიდი მუშაობა შეასრულა წითელ არმიის ხელმძღვანელობაში სამოქალაქო ომის დროს და აგრეთვე არმიის გამაგრების და მშენებლობის დარგში.

ამხ. პუგაჩოვმა დაიწყო წითელ არმიაში მუშაობა ურალის სამხედრო ოლქის სამმართველოდან. მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისადმი ერთგულებამ და მისმა ინიციატივამ ის ჩქარა წასწია წინ. ის ერთიმეორეზე იკავებს საპასუხისმგებლო ადგილებს და 2 და 3 არმიებში. განსაკუთრებულ ჯგუფურ შტაბში და კავკასიის სამხრეთ—აღმოსავლეთის ფრონტებზე.

1920 წელს ამხ. პუგაჩოვი ინიშნება კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსად, შემდეგ კი 1921 წლის ივნისში ცალკე კავკასიის არმიის შტაბის უფროსად. ამ მუშაობიდან ის გადაყვანილ იქნა თურქესტანის ფრონტის სარდლად. შემდეგ კი ინიშნება კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის უფროსად. (1924 წლის მაისში.)

ამხ. პუგაჩოვი ყოველგან დაუზოგველ ენერგიით, განსაკუთრებულ საქმიანობით და საქმის ცოდნით აგრძელებს მუშათა და გლეხთა წითელ არმიის მშენებლობის საქმეს.

ეხლა ამხ. პუგაჩოვს ჰბარდება მეტად საპასუხისმგებლო საქმე წითელ არმიის მშენებლობის დარგში. ის დანიშნულია მ. და გ. წითელ არმიის შტაბის უფროსის მოადგილეთ.

ქართული წითელი დივიზიები აცილებს მას და თავის სარდალს უსურვებს, როგორც წარსულში, მხნე და ენერგიულ მუშაობას რევოლიუციის და მშრომელთა მასსების საკეთილდღეოთ.

# ბრძანება

## კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ჯარებისადმი.

ქ. ტფილისი. **№ 58.** 20 თებერვალი 1925 წ.

ს. ს. რ. კ. სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს ა. წ. 7 თებერვლის № 102-რი ბრძანების თანახმად მე დავინიშნე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილედ.

ძვირფასო ამხანაგებო წითელ-არმიელებო, მეთაურებო და პოლიტ მომუშავენო!

ვშორდები რა ჩემთვის ძვირფას კავკასიის წითელ დროშოვან არმიას, გიძღვნით მხურვალე ამხანაგურ სალამს და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ყველა, როგორც ერთი, არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს ხელმძღვანელობით, თქვენი შეგნებით და დისციპლინით სისრულეში მოიყვანთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ თქვენდამი დაკისრებულ ამოცანებს, მტკიცედ და შეუდრეკლად იდგომებით სოციალური რევოლიუციის ინტერესების სადარაჯოზე ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში და მსოფლიოში როგორც ერთად-ერთი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის წარმომადგენლები მაღლა დაიჭერთ აღმოსავლეთის დამონავებულ ხალხების მტაცებლურ მსოფლიო კაპიტალისაგან განთავისუფლების დროშას.

განსაკუთრებულად მოგმართავთ თქვენ, საბჭოთა აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ნაციონალურ წითელ-არმიეების ამხანაგო მხედრებო!

თქვენ ს. ს. რ. კავშირში შემავალ ხალხებს შორის პირველი აღმშენებლები ხართ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ერთმანეთისადმი მჭიდრო და ხალხთა ძმური თანამშრომლობის ნიადაგზე.

თქვენგან მიღებული გამოცდილებების მიხედვით სწარმოებს და მომავალშიც გატარდება სხვა საბჭოთა რესპულიკებში ნაციონალური ნაწილების ჩამოყალიბება, რისთვისაც თქვენ მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყვეთ, როგორც სამხედრო სწავლებისა და აღზრდის, ისე ამიერ-კავკასიის მუშებსა და გლეხებს შორის სოლიდარობის განმტკიცების საქმეში, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის საბრძოლო ძლიერებას და წითელი არმიის ნაწილებს შორის მჭიდრო კავშირს საბოლოოდ განამტკიცებს.

შეთანხმებული და შეუჩერებელი მუშაობით, განუწყვეტელი წარმატებებით, წითელ-არმიელთა, მეთაურთა და პოლიტმომუშავეთა შეკავშირებით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელებთან ძმური დაახლოვებით, კავკასიის წითელ დროშოვანი არმია მრავალ ძალა იქნება მუშების და გლეხების ხელში გარეშე მტრების შესაძლებელ თავდასხმის მოსაგერიებლად და [illegible] ბრძოლის [illegible] ხალხთა [illegible] თავისუფლების [illegible] გამოსათავისუფლებლად [illegible] განთავისუფლებისა და ძალა-უფლების საყუდარ ხელში აღების საქმეში.

გაუმარჯოს კავკასიის წითელ დროშოვან არმიას და ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას, როგორც მის შემადგენელ ნაწილს და მძლავრ რეზერვს.

არმიის მთავარსარდალი პუგაჩოვი.

# გავიგეთ გასანდო და მოვხსენით მოდარაჯე რაზმი.

ეს მოხდა ვრანგელის ფრონტზე. მე ვმსახურებდი № 7 მატარებელ—„პუტილოვცი“-ზე.

ჩვენ ვიდექით სადგურ ბურჩაცკოეზე. სადგურ პრიშიბზე დაბანაკებული იყო მტერი. მე და ჩემთან ერთად რვა კაცი გაგვზანეს გზის დასაზვერავად. ეს იყო ღამით. უნდა გაგვევლო 5—6 ვერსი მტრის პირველ ხაზამდი. მივდიოდით ჩუმად.

გავიარეთ კაი მანძილი. გზაში მ ვაღწიეთ ერთ რკინის გზის „ბუდკასთან“, დავათვალიერეთ ის ყურადღებით და ყური დავუგდეთ არე მარეს. საეჭვო ვერაფერი შევამჩნიეთ და გადავსწყვიტეთ წავსულიყავით წინ. წინ მიდიოდა ამხ. დმიტრიევი. ის წააწყდა პატარა დაშლილ ხიდს, დაათვალიერა და გადმომცა, რომ ხიდი ახალი დაშლილია და მისი შეკეთება ადვილად შეიძლებაო. მე მაშინვე გავგზავნე ერთი ამხანაგი ბრიგადაში ამ ცნობით.

ჩვენ გავემართეთ წინ და ჩქარა მეორე „ბუდკას“ მივადექით. ჩვენ აქ შევგროვდით და უკვე თათბირს ვაპირობდით წავსულიყავით წინ თუ არა, მაგრამ ამ დროს გავიგონეთ —ცხენების ფეხის ხმა. ჩვენ საჩქაროდ მოვშორდით „ბუდკას“ და მოვეფარედ ხეებს.

ჩქარა გამოჩნდა 3 ცხენოსანი, რომლებიც მოდიოდენ სადგურ პრიშიბის მხრიდან. „ბუდკის“ წინ იდგა პურის მ ღალი ყანა. როცა ცხენოსნები პურს გაუსწორდენ, იქ დან მოისმა ხმა: „სდიქ“ ერთი ცხენოსანი გამოეძახა—„შინაური ბი ვართ“-და სამივემ შეაჩერეს ცხენები. პურის მყოფი შეეკითხა; „რა არის გასანდო“?

„ხიშტი“—უპასუხეს ცხენოსნებმა, რის შემდეგ თავისუფლად მივიდნენ დარაჯებთან, რაღაცაზე ილაპარაკეს და კვლავ გაუდგენ.

ამ რიგად ჩვენ გავიგეთ მათი საგუშაგო და გასანდო გადავსწყვიტეთ ტყვეთ ჩაგვეგდო თუნდაც გუშაგი. გადავსწყვიტეთ და წავედით.

გავყევით რკინის გზის ბექობს, გავიარეთ ხოხვით 200 ნაბიჯამდე და შევძვერით პურის ყანაში.

ვსცდილობდით არ გამოგვეწვია ხმაურობა. ჩვენდა საბედნიეროდ დაჰბერა ნიავმა და აშრიალდა პურის ყანა. პურის შრიალი ფარავდა ჩვენი მოძრაობით გამოწვეულ ხმაურობას.

დავშორდით თუ არა გზას 50—60 ნ ბიჯით, ჩვენ გავიგონეთ ხმა დაბალი ლაპარაკი და ჩვენ მაშინვე შევამჩნიეთ, რომ აქ გუშაგი კი არ სდგას, არამედ მოდარაჯე რაზმი. წავიწიეთ კიდევ 5 ნაბიჯი წინ ყანაში გატკეპნილ გზაზე, რომელიც მიდიოდა იქეთ, საიდანაც ლაპარაკი გვესმოდა. ჩვენ სასწრაფოდ გავაცანით ერთმანეთს თუ რა უნდა გაგვეკეთებია და მე და ამხანაგი დმიტრიევი უკვე წელში გამართული, თამამად გავემართეთ სადარაჯოსკენ. დანარჩენები დახრილები ფრთხილად მოგვყვებოდენ რამოდენიმე ნაბიჯზე. მივუახლოვდით თუ არა სადარაჯოს 10 ნაბიჯზე, ჩვენ მოგვესმა ხმა: „სდექ! გასანდო“.

მე შევსდექი, ხოლო ამხ. დმიტრიევი წავიდა წინ სამი ნაბიჯით და დაბალი ხმით უთხრა: „ხიშტი“ ჩვენი შემჩერებელი დარაჯი დამშვიდდა, გვითხრა „გაიარეთ“-ო და დაჯდა. მაგრამ მას არ მოსწევია დიდხანს ჯდომა.

ხმა მაღალმა „ურამ“ და თოფების გრიალმა წამოაგდო ზეზე ის და სხვებიც მაგრამ უკვე გვიან იყო.

ორი-სამ კაცს თოფის დუმით შეუტყიეთ ჰკუის კოლოფი, 4 კაცი დავჭირით. აფიცერი და ვიღაც ერთი გაიქცენ, ხოლო ოთხი კაცი წამოვიყვანეთ ტყვედ. ხელთ ვიგდეთ ლიუისის ტყვია მფრქვევი და აფიცრის ქუდი, რომელიც მას დარჩა გაქცევის დროს. სასწრაფოდ გამოვქანდით ჩვენებისკენ.

გაქცეულმა თეთრებმა ასტეხეს განგაში. დაგვედევნენ ქვეითი და ცხენოსნები, მაგრამ როცა ჩვენ მივირბინეთ ხიდამდი, იქ უკვე ჩვენები იდგენ ჯავშნოსანით და ხიდს ასწორებდენ.

ამ ამხანაგმა, რომელიც მე გავაგზავნე ჩვენებთან უკვე აცნობა მათ ყველაფერი და ჯავშნოსანის უფროსმა გადასწყვიტა იმავე ღამეს აღედგინა ხიდი.

მე გადავეცი ჯავშნოსანის უფროს ჩემი ტყვეები და აფიცრის ქუდი და თვითონ წავედი უფროსთან მოხსენების გასაკეთებლად. ჯავშნოსანის უფროსმა გაიგო თუ არა რაში იყო საქმე, წავიდა ტყვეების დასაკითხავად და გაიგო, რომ სადგურ პრიშიბზე ჯავშნოსნები არ იდგა. მან აცნობა ეს უფროსს. გათენებისას ჩვენ უკვე გადავედით შეტევაზე და გავრეკეთ მტერი.

აი რას ნიშნავს საიდუმლო სიტყვა, პაროლი, გასანდო.

რომ ჩვენ შემთხვევით ეს არ გაგვეგო, მაშინ ვერ შევძლებდით სადარაჯო რაზმის მოხსნას.

სკოროპადსკი.

# ამბები სოფლებიდან

**გლეხკომის სასადილოები**

ლეჩხუმის სამაზრო გლეხკომს გახსნილი აქვს წითელი სასადილოები დაბა ლაილაშსა და ჰრებალოში, რომელთა მიზანიც არის კერძო სამიკიტნოებთან ბრძოლა.

**საბაზრო ვაჭრობა.**

ქუთაისის აღმასკომმა დაადგინა ხელახლა გამოსცეს სავალდებულო დადგენილება მაზრაში საბაზრო ვაჭრობის მოწესრიგების შესახე, რომლიძალით სოფლიდან შემოტანილი სანოვაგე განთავისუფლებულია გადასახადისაგან.

**ქალები გლეხკომებში.**

ლეჩხუმის მაზრაში ყველა გლეხკომებში ამჟამად მუშაობს 27 ქალი.

**ლეჩხუმის გლეხკომების ქონება.**

ლეჩხუმის მაზრის გლეხკომებს ამჟამად საკუთარ ფონდში აქვთ 1.129 მანეთი, 2 534 ფ. სიმინდი, 104 ფ. ღვინო, 4 ფუთი ლობიო და სხვა.

**კოოპერატივი შენობას აგებს.**

სოფ. სარვანის (ბორჩ. მაზრა) რაიონულმა კოოპერატივმა გადასწყვიტა ადგილობრივააშენოს საზოგადო სჩაი-სასადილო.

**ელსადგურის დასამთავრებლათ.**

ახალციხის აღმასკომმა გადასდო სამი ათასი მანეთი ახალც. ჰიდრო-ელსადგურის დასამთავრებლათ.

**დარაბების შეკეთება.**

ქუთაისის აღმასკომმა გადასდო 1.337 მანეთი ქუთაისში, ლერმონტოვის ქუჩაზე დამწვარი დარაბების შესაკეთებლათ.

**სოფლების სახელწოდების შეცვლა.**

ბორჩალოს მაზრის სოფ. მაშგიალოს და მანთაშოვკის მცხოვრებლებმა აღძრეს შუამდგომლობა აღნიშნულ სოფელთა სახელწოდების შეცვლისშესახებ.

**სამეურნეო იარაღი.**

გასული წლის განმავლობაში საქ. მაზრებში არსებულ გამქირავებელ პუნქტებში ითვლებოდა 1786 სასოფლო-სამეურნეო იარაღ მანქანები.

**მეფუტკრეობაძ ახეთში.**

თელ ვის მეფუტკრეთა ამხანაგობამ დაადგინა შეიძინონ 500 სკა და გააფართოონ თავიანთი წარმოება.

# ახალი ამბები.

— **წითელი სასადილოები.** ტფილისის აღმასკომის დადგენილებით წითელ სასადილოებს ეძლევათ 50 პროც. შეღავათი, საბინაო ქირაში.

— **გლეხთა სასახლე.** ტფილისის აღმასკომმა გაანთავისუფლა საანგარიშო წლის ბოლომდე ტფილისის გლეხთა სასახლე კომუნალური გადასახადებისაგან, რაც უდრის 2 454 მანეთს.

— **მუშათა ბინების შესაკეთებლათ.** ტფილისის აღმასკომმა გადასცა მუშათა საბინაო კოოპერატივს 4 ათასი მანეთი.

— **მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის.** ტფილისის აღმასკომმა წინადადება მისცა ქალაქის კეთილ მოწყობის განყოფილებას ჯანმრთ. განყოფილებასთან ერთად მოაწყოს ქუჩებში საფურთხებელი ყუთები.

— **შვიდ წლედ სკოლებში.** წარსული სამოსწავლო წლის განმავლობაში ტფილისში შვიდ წლედი სკოლები დაამთავრა 413 მოწაფემ.

— **ტურბინების მიღება.** ზაჰესკომმა გერმანიიდან მიიღო იქ დაკვეთილი სამი ტურბინა (წყლით მამოძ ავებელი მანქანები).

— **მეაბრეშუმეობა საქართველოში.** წარსული წლის განმავლობაში მთელ საქართველოში დარიგდა 104 ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი.

— **საქსოვი მანქანების მიღება.** ცეკავშირმა მოსკოვიდან მიიღო ახალი საქსოვი მანქანები. რომლებიც დადგმულ იქნენ აბრეშუმის საქსოვ ქარხანაში.

# უკანასკნელი რადიო ცნობები.

## ს. ს. რ. ცაკის მიერ საბჭოთა იაპონიის შორის დადებულ ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ს. ს. რ. ცაკის პრეზიდიუმა ერთხმად დაამტკიცა 17 თებერვალს ს. ს. რ. კომისართა საბჭოს მიერ მოწონებული ს. ს. რ. და იაპონიის შორის ურთიერთ დამოკიდებულების კონვენცია ძირითად პრინციპებში.

## ხან მოკლე კაბინეთი.

პრუსიის მთავრობის დეკლარაციით გამოწვეული კამათის შემდეგ, სოციალ-დემოკრატებმა, დემოკრატებმა და ცენტრმა შეიტანეს ნდობის ვოტუმი. ვოტუმი უარყოფილ იქნა 221 ხმით 218 წინააღმდეგ.

მარქსმა განაცხადა, რომ კაბინეთი დაუყონებლივ გადადგებაო.

## ბულგარეთის მთავრობის ცნობა.

ბულგარეთის მთავრობის ცნობის თანახმად, იქ თითქოს აღმოაჩინეს კომუნისტური საიდუმლო ორგანიზაცია, რომელსაც მრავალი ქვეორგანიზაციები ჰქონია მოწყობილი სხვა და სხვა სოფლებში. დაპატიმრებულია 80 მეტი კაცი.

## „გერმანიის ჩეკას“ პროცესი.

## ბურჟუაზიული სამართალი სიყალბეზეა აგებული.

1924 წელში გამოქვეყნებულ ბრალდებულ პეგეს წერილის მიხედვით ირკვევა, რომ პეგემ ჯერ კიდევ მაშინ აცნობა თავის ცოლს იმის შესახებ, რომ პოლიცია ძალდატანებას ხმარობდა მის წინააღმდეგ დაკითხვის დროს. ასეთ პირობებში არის მიცემული ყალბი ჩვენება ფაბრიკანტ გრენცის მოკვლის საქმეში.

## ნეიმანი უპირატესობით სარგებლობდა ციხეში.

შემდეგ ირკვევა, რომ ციხეში ყოფნის დროს ნეიმანი ღებულობდა დიდძალ კომუნისტურ გაზეთს და მათ შორის „როტე ფანესაც“, რომელსაც სხვა ბრალდებულები ვერ ღებულობდენ.

დამცველებს მოჰყავთ წინასწარ გამოძიების ოქმი და უარყოფენ ნეიმანის ჩვენებას იმის შესახებ, თითქოს ის აძლევდა კომპარტიის სახელის გამტეხ ჩვენებას მხოლოდ იმ წერილის წაკითხვის შემდეგ, რომელშიაც მონათლული იყო შპიონად.

## რუმინეთ-გერმანიის კონფლიქტი.

## ბუქარესტის ბირჟა დახურეს.

როგორც ვიცით რუმინეთისა და გერმანიას შორის მოხდა კონფლიქტი სარეპარაციო გადასახადების გამო. ამასთან დაკავშირებით რუმინეთის მთავრობამ დროებით დახურა ბუქარესტის ბირჟა. ეს გამოწვეულია რუმინეთის მთავრობის შიშით, რომ გერმანიის ფინანსისტები საბირჟო მანევრების გზით შეცდებიან დასცენ რუმინეთის აქციების კურსი.

## კონფლიქტი ინგლისის სამთო-მადნო წარმოებაში.

## მუშები მტკიცეთ იცავენ თავიანთ პოზიციას.

სამთო-მადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის და მაღაროების მეპატრონეების წარმომადგენელთა შორის მოხდა შეხვედრა, სადაც უკანასკნელებმა გამოსთქვეს სურვილი წარმოედგინათ თავიანთი წინადადებები, რომელიც განიხილება შემდეგ თათბირზე. მომავალი თათბირი უნდა შესდგეს 5 მარტს. მაღაროების მეპატრონეებმა წინადადება შეიტანეს დაეარსებიათ გაერთიანებული ქვე-კომისია, მაგრამ მუშების წარმომადგენლებმა ეს წინადადება ენერგიულად უარყვეს და მოითხოვეს, რომ ისინი თანახმა არიან დისკუსიაზე თუ მეპატრონეები თავიანთ მოთხოვნილებებს წერილობით გამოხატავენ.

## გერმანიის მთავრობა სასტიკად სდევნის მუშათა მოძრაობას.

## კაპიტალისტურ სასამართლოს მუშაობის ჯამი.

უკანასკნელ დროს გერმანიის სასამართლომ გამოიტანა მრავალი განაჩენი მუშებისა და კომუნისტების წინააღმდეგ სამუშაო კანონის დარღვევისათვის და ასაფეთქებელ ნივთიერებათა შენახვისთვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა ქუთაისის მილიციის ს მმართველოს მიერ გაცემული ანნა დავითის ასულის ჩილაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კასპეველის ქ. № 3.